



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფ. ზ. შენგელია

ფრიდონ შენგელია

„*15*“ *05* 2015 წელი

ეგზ. N1

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის
ფინანსური აუდიტის ანგარიში *0V35/00*

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ზ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ -----	2
აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ-----	4
პირობითი აუდიტორული მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ-----	18

შემოკლებები:

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - აპარატი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ“ - ცენტრი.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი - სახელმწიფო მინისტრი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო.

დასკვნა ნაერთი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების (კოდი 20 00) აუდიტი, რომელიც მოიცავს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და მისი მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საინფორმაციო ცენტრი ნატოს“ 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცალ-ცალკე კოდების მიხედვით ბალანსების ფინანსურ (კოდები 20 01 და 20 02) აუდიტს. თითოეულ კოდზე აუდიტი მოიცავდა შემდეგ ანგარიშებს: „ორგანიზაციის ბალანსი“ (ფორმა N1) „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ფორმა N2), „ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ (ფორმა N2-1), „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ფორმა N2-2), „ანგარიში წმინდა ღირებულების

შესახებ“ (ფორმა N3), „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღებისა და გასვლის შესახებ“ (ფორმა N5), „ანგარიში არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“ (ფორმა N6).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

აპარატისა და ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასებისას აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა

კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების შესახებ

აუდიტით დადგინდა, რომ აპარატისა და ცენტრის საბუღალტრო აღრიცხვა აუდიტის პერიოდში არ წარმოებდა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, კერძოდ: „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული N1321 ინსტრუქციის შესაბამისად¹. აპარატისა და ცენტრის შესაბამისი სამსახურები ბალანსის შესადგენად იყენებდნენ სახაზინო პროგრამას. 2014 წელის 13 ნოემბერს აპარატის მიერ შეძენილ იქნა საბუღალტრო პროგრამა „ეფემჯი სოფტი“. ხელშეკრულების თანახმად, შეძენიდან 14 დღის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო პროგრამის დანერგვა. მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად სამუშაოები დასრულდა 2014 წლის 26 ნოემბერს. თუმცა, პროგრამის დანერგვის პროცესი გაგრძელდა აუდიტის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

რაც შეეხება დანერგილ საბუღალტრო პროგრამას, გამოვლინდა რიგი დარღვევებისა, კერძოდ: 2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით არ იყო დაზუსტებული როგორც საწყისი, ასევე საბოლოო ნაშთები თითოეული საბუღალტრო ანგარიშის მიხედვით. სამეურნეო მოვლენის ამსახველი დოკუმენტები უნდა იქნას სისტემატიზირებული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და შედგენილი იქნას მემორიალური ორდერები².

¹ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე მუხლი 3, პუნქტი პირველი.

² ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე მუხლი 5, პუნქტი მე-2.

შრომის ანაზღაურება

აპარატში 2014 წელს, მუხლით „შრომის ანაზღაურება“, მთლიანმა საკასო ხარჯმა 1250.4 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო დასაქმებულთა რიცხოვნობამ 38 ერთეული. 2014 წელს თანამდებობრივი სარგოს სახით ფაქტობრივად გაწეულმა საკასო ხარჯმა 684.8 ათასი ლარი შეადგინა, პრემიის სახით გაცემულმა განაცემმა 408.1 ათასი ლარი, ხოლო დანამატის სახით გაცემულმა განაცემმა 157.5 ათასი ლარი.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში, შტატით მომუშავე თანამშრომლების უმეტესობაზე პრემიები გაიცემოდა ყოველთვიურად, სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით. საანგარიშო პერიოდში პრემიის მუხლით გაცემულმა სახსრებმა თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში 60% შეადგინა. იყო შემთხვევები, როდესაც თვეში გაიცემოდა ერთზე მეტი პრემია. ასე მაგალითად, 2014 წლის 3 იანვარს აპარატის ოთხ თანამშრომელზე, სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის, მათი მოტივაციისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, არსებული ეკონომიის ხარჯზე, მინისტრის N1 ბრძანების საფუძველზე გაიცა პრემია საერთო ჯამში 11.1 ათასი ლარის ოდენობით. აუდიტის ჯგუფისთვის გაუგებარია ბრძანებაში მოყვანილი არგუმენტაცია: „სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება“, მაშინ როცა 3 იანვარი საანგარიშო პერიოდის პირველი სამუშაო დღეა. ასევე გაუგებარია ბრძანებაში ნახსენები ეკონომია, ვინაიდან შეუძლებელია საანგარიშო პერიოდის პირველ სამუშაო დღეს შრომის ანაზღაურების მუხლში წარმოქმნილიყო ეკონომია. შესაბამისად, წახალისების დასაბუთება ტრაფარეტულია და რეალობას არ ასახავს.

თანამშრომელთა პრემირება იგივე საფუძველით და დასაბუთებით განხორციელდა ასევე 2014 წლის 17 იანვარს (ბრძანება N17) მთლიანობაში 26 თანამშრომელზე, მათ შორის 2014 წლის 3 იანვარს პრემირებულ 4 თანამშრომელზეც.

აპარატის ხელმძღვანელობის მიდგომა თანამშრომელთა პრემირების თვალსაზრისით გაუგებარია იმ შემთხვევებშიც, როდესაც ხდება თანამშრომელთა განთავისუფლება დაკავებული თანამდებობებიდან. ასე მაგალითად: 2014 წლის 19 მაისს პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა ორი თანამშრომელი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და მთავარი სპეციალისტი, რომელთა პრემირებაც განხორციელდა განთავისუფლების დღეს. დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს პრემიის სახით მიეცა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის 182%-ი, ხოლო მთავარ სპეციალისტს 263%-ი. ასევე, 2014 წლის 22 აპრილს, განთავისუფლებულია დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც განთავისუფლებამდე ერთი კვირით ადრე (14.04.14) მიღებული აქვს პრემია და დანამატი საერთო ჯამში თანამდებობრივი სარგოს ოდენობის 277%. საგულისხმოა, რომ საჯარო სამსახურში მოხელეთა პრემირების მიზანს წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში

დასაქმებულ პირთა წახალისების და მოტივაციის გაზრდა, თუმცა აპარატის მხრიდან ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, თანამშრომელთა პრემირება საგრძნობლად (საშუალოდ 3.5 ჯერ) იზრდება მაშინ, როდესაც თანამშრომელთა სხვა სამსახურში გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო.

აუდიტის ჯგუფის მიერ შედარდა, აპარატის თანამშრომლებზე პირველ ორ კვარტალში შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული დანახარჯები, მესამე და მეოთხე კვარტალში გაწეულ ანალოგიურ დანახარჯებთან. ორ-ორი კვარტალის დანახარჯების შედარების საფუძველს წარმოადგენდა „საჯარო დაწესებულებაში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილება, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 ივლისიდან. საინტერესო იყო ანალიზი იმ თვალსაზრისით, თუ რა გავლენას მოახდენდა რეგულაციის ამოქმედება შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეულ დანახარჯებზე. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დანახარჯები შემცირების ნაცვლად გაიზარდა 16%-ით (იხ. ცხრილი N1).

ცხრილი N1

დასახელება	თანხები მოცემული ლარებში		სხვაობა	სხვაობა %-ში
	01.01.14 - 30.06.14 (6 თვე) I-II კვ.	01.07.14 - 31.12.14 (6 თვე) III-IV კვ.		
თანამდებობრივი სარგო	337,515.64	347,258.11	9,742.47	3%
პრემია	225,995.00	182,105.00	-43,890.00	-19%
დანამატი	16,260.00	141,285.16	125,025.16	770%
ჯამი	579,770.64	670,648.27	90,877.63	0.16%

წლის მეორე ნახევარში შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯების გაზრდა განპირობებული იყო დანამატის მუხლით გაცემული განაცემების 770%-იანი ზრდით. დანამატი დაენიშნა აპარატის 25 თანამშრომელს, სახელმწიფო მინისტრის 2014 წლის 1 ივლისის N143 ბრძანების საფუძველზე. ბრძანებით, თითოეულ თანამშრომელზე დანამატის სახით ყოველთვიურად გასაცემი თანხა წინასწარ იყო განსაზღვრული. ყოველი თვის ბოლოს (ხელფასების დარიცხვამდე) შესაბამისი სამსახურების ან/და დეპარტამენტის ხელმძღვანელების მიერ დგებოდა მოხსენებითი ბარათ(ებ)ი დანამატის გაცემასთან დაკავშირებით, სადაც აღინიშნებოდა, რომ დანამატი გაიცემოდა ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით სწორედ იმ თანამშრომლებზე და იმ ოდენობით, როგორც ეს წინასწარ იყო განსაზღვრული ზემოაღნიშნულ ბრძანებაში.

აქედან გამომდინარე გაუგებარია, როგორ მოხდა პირველი ივლისის მდგომარეობით გარკვეულ თანამშრომელთა წრისთვის, მომავალში შესასრულებელი ზეგანაკვეთური

და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის წინასწარი გაანგარიშება, რომელიც ფაქტიურად ყოველთვიურად თანხვედრაში იყო მათ მიერ გაწეული ზეგანაკვეთური შრომასთან. აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა მოწოდებული ვერანაირი დამატებითი დოკუმენტი (გარდა ხსენებული მოხსენებითი ბარათებისა), რაც თვალსაჩინოს გახდიდა აპარატის იმ თანამშრომლებზე დამატებითი საპასუხისმგებლო ფუნქციების დაკისრებას და მათ ჯეროვნად შესრულებას, რაც გაამართლებდა 2014 წლის 1 ივლისის შემდეგ 770%-ით გაზრდილი დანამატების გაცემის საჭიროებას და აუცილებლობას.

აპარატის ორ თანამშრომელზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის უგულებელყოფით განხორციელდა თანამდებობრივ სარგოზე მეტი ოდენობის პრემიის გაცემა.³

ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მდგომარეობა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (ორგანიზაციული კოდი - 20 00) შედგება ორი ორგანიზაციული ქვეკოდისგან: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (ორგანიზაციული კოდი - 20 01) და სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ“ (ორგანიზაციული კოდი - 20 02). საბიუჯეტო ასიგნების დაგეგმვის სისწორე განხილულ იქნა ქვეკოდების დონეზე.

აპარატის (ორგანიზაციული კოდი - 20 01) „2014-2017 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ დოკუმენტის მიხედვით 2014 წლისთვის, დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა განსაზღვრული იყო 26 ერთეულით, ხოლო ასიგნებების ზღვრული მოცულობა - 1950.0 ათასი ლარით. განაცხადის ბოლო ვარიანტის მიხედვით, ზღვრული მოცულობის ზევით მოთხოვნილ იქნა ასიგნებები 500.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანამდებობრივი სარგო 190.8 ათასი ლარის ოდენობით, რაც გამოწვეული იყო აპარატისათვის, მთავრობის განკარგულებით, მომუშავეთა რიცხოვნობის 12 ერთეულით გაზრდით. ასევე, განაცხადით გაზრდილი იყო მოთხოვნილი პრემიების რაოდენობა 120.0 ათასი ლარით და მთლიანობაში მოთხოვნილი პრემიების რაოდენობა, თანამდებობრივი სარგოს 8-ჯერად რაოდენობას შეადგენდა. რაც შეეხება სახელფასო დანამატს, ის დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო მინისტრს (თვეში 2710 ლარი) პრემიერ მინისტრის 2014 წლის 21 იანვრის N18 განკარგულებით და წლიურ ხარჯს უნდა შეედგინა 32.5 ათასი ლარი. მოთხოვნილ იქნა წლიურ კუთვნილ ხარჯზე 19.5 ათასი ლარით მეტი. ასევე,

³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილება მე-5 მუხლის პირველი პუნქტი „საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს“

მოთხოვნილი იქნა „საქონელი და მომსახურების“ მუხლით დაფინანსების ზრდა ჯამში 164.2 ათასი ლარით, უმთავრესად მივლინების, ოფისისა და წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლებით. მუხლით „არაფინანსური აქტივების ზრდა“ პირველ განაცხადთან შედარებით, მოთხოვნილ იქნა 25.0 ათასი ლარით მეტი დაფინანსება. დამატებითი დაფინანსების მოთხოვნა განმარტებული იქნა როგორც პერსონალის გაზრდილი რიცხოვნობისთვის საჭირო დამატებითი ხარჯი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, აპარატის 2014 წლის ასიგნებები დამტკიცდა განაცხადის მესამე ვარიანტის ფარგლებში ჯამში 2450.0 ათასი ლარის ოდენობით.

2014 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა გეგმების დაზუსტებას ასიგნებათა გადანაწილებისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის შედეგად.

2014 წელს მთავრობის ოთხი განკარგულებებით, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილმა თანხამ შეადგინა ჯამში 2828.3 ათასი ლარი, რომლის საკასო ხარჯმა 2256.8 ათასი ლარი შეადგინა. აქედან, ერთ შემთხვევაში გამოიყო დაფინანსება აპარატის ფუნქციონირებისთვის 128.3 ათასი ლარის ოდენობით. კერძოდ: აპარატის ფუნქციონირებისთვის გამოყოფილი ასიგნებიდან 20.7 ათასი ლარი გადაეცა კოდიდან კოდში ნატოს საინფორმაციო ცენტრს, ხოლო 67.0 ათასი ლარი ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 31 დეკემბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის თანახმად, წლის ბოლო დღეს გადატანილ იქნა საქონელი და მომსახურების მუხლიდან „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში.

განაცხადის მიხედვით საინფორმაციო ცენტრ ნატოს (ორგანიზაციული კოდი - 20 02) ზღვრული მოცულობის ზევით ასიგნება არ გამოყოფია და დამტკიცდა 350.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 259.0 ათასი ლარი, მუხლით „საქონელი და მომსახურება“ 91.0 ათასი ლარი.

2014 წელს განხორციელებული საკასო ხარჯი მოცემულია ცხრილის სახით:

		ცხრილი N1		
კოდი	დასახელება	2014 წლის დამტკიცებული გეგმა	2014 წლის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის საკასო ხარჯი
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2800.0	5094	4984.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	53	53	53
	ხარჯები	2770.0	4984.3	4878.1
	შრომის ანაზღაურება	1566.0	1566.0	1530.9
	საქონელი და მომსახურება	1186.0	3401.0	3329.3

	სხვა ხარჯი	18.0	8.2	8.2
	სოციალური უზრუნველყოფა		9.1	9.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	30.0	109.7	106
20 01	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2450	4673.5	4578.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	38	38	38
	ხარჯები	2420	4569.0	4477.6
	შრომის ანაზღაურება	1307	1285.5	1250.6
	საქონელი და მომსახურება	1095	3266.2	3209.6
	სხვა ხარჯი	18	8.2	8.2
	სოციალური უზრუნველყოფა		9.1	9.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	30	101.2	101.2
20 02	სსიპ- საინფორმაციო ცენტრ ნატოს შესახებ.	350	420.5	405.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	15	15	15
	ხარჯები	350	415.3	400.5
	შრომის ანაზღაურება	259	280.5	280.5
	საქონელი და მომსახურება	91	134.8	120.0
	სხვა ხარჯი	0	0	0
	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	5.2	4.8

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

2014 წლის წარმოდგენილი ნაერთი ფინანსური ანგარიში და ანგარიშები ცალკეული კოდის მიხედვით, არ მოიცავენ ანგარიშს: „ცნობას დებიტორ-კრედიტორების შესახებ“, თუმცა ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლით დადასტურდა როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანების არსებობა. კერძოდ:

ხაზინის მონაცემებიდან გამომდინარე, 2014 წლის 10 იანვარს (საგადასახადო დავალებები N18,19,21), შპს „თრეველინისთვის“, აპარატის მიმდინარე წლის ასიგნებიდან გადარიცხულ იქნა 9.7 ათასი ლარი. გადახდის საფუძვლად მითითებული იყო წინა წლის საგადასახადო ანგარიშვაქტურები (NS13123396, S13123380, S13123372). შესაბამისად, გასტუმრებულ იქნა 2013 წლის აღურიცხავი კრედიტორული დავალიანება.

2014 საანგარიშო წელს, მივლინებებზე გადარიცხულია ავანსი სხვადასხვა ანგარიშვალდებულ პირზე. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ გადარიცხული ავანსებიდან, არ ჰქონდა წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები და დახურული საავანსო ანგარიში ერთ ანგარიშვალდებულ პირს თანხით 1.6 ათასი ლარი (ს/დ N2615), თუმცა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშზე - „მოთხოვნები მივლინებებით ქვეყნის გარეთ“ (ანგარიში N1462) დებიტორული დავალიანება ანგარიშვალდებულ პირების მიმართ არ ირიცხებოდა.

სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საწვავის ხარჯი

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში აპარატის საკუთრებაში არსებულ 6 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეულმა ფაქტიურმა ხარჯმა 124.8 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის საწვავის ხარჯმა 83.6 ათასი ლარი (67%), რემონტის ხარჯებმა 29.9 ათასი ლარი (24%) და სათადარიგო ნაწილების ხარჯებმა 11.2 ათასი ლარი (9%). სახელმწიფო მინისტრის 2014 წლის 3 იანვრის N4 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული იქნა საწვავის ლიმიტები (იხ. ცხრილი).

ვის ემსახურება	ავტ. დასახელება	სახ. ნომერი	ლიმიტი (ლიტ)
სახელმწიფო მინისტრი	TOYOTA LandCruiser 200	FCF 778	ულიმიტო
სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე	MITSUBISI Pajero	XCX 070	800
სახელმწიფო მინისტრის მოადგილე	LEXUS LS460	LYL767	700
აპარატის უფროსი	TOYOTA Camry	FCF 327	450
აპარატის მორიგე მანქანა	TOYOTA LandCruiser 105	DRD 772	650
აპარატის მორიგე მანქანა	OPEL Vectra	AEB 163	300

2014 წელს საწვავის ხარჯი წინა წელთან შედარებით გაზრდილია, რაზეც არსებითი ზეგავლენა მოახდინა ავტომობილი TOYOTA Land Cruiser 200 სახ. ნომრით FCF778 და ავტომობილ MITSUBISI Pajero სახ. ნომრით XCX070-ზე გაწეულმა ხარჯებმა, რამაც მთლიანად აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში ავტომობილების საწვავზე გაწეული დანახარჯების 57% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ TOYOTA Land Cruiser 200-ი, აპარატს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის N681 ბრძანების საფუძველზე გადაეცა უვადო სარგებლობის უფლებით 2013 წლის 28 ივნისს. ხსენებული ბრძანების საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ მისი გარბენი აპარატისთვის გადაცემის პერიოდისთვის შეადგენდა 50200 კილომეტრს.

2014 წლის განმავლობაში TOYOTA Land Cruiser 200-ზე ფაქტიურად გაწეულია 15817 ლიტრი საწვავის ხარჯი, ხოლო 2013 წელს (ავტომობილის გადმოცემის შემდეგ) 6166 ლიტრი საწვავის ხარჯი. აღსანიშნავია, რომ აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში აპარატის მიერ ავტომობილების (ე.წ. ოდომეტრების) გავლილი მანძილის აღრიცხვა არ

წარმოებდა⁴. აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთვლილი იქნა გასავლელი მანძილი, ფაქტიურად მოხმარებული საწვავის ოდენობაზე დაყრდნობით, ტექნიკური პასპორტის მონაცემების გათვალისწინებით და მაქსიმალური წვის კოეფიციენტით (19ლ X 100კმ-ზე, მხოლოდ ქალაქში გადაადგილების შემთხვევაში მაქსიმალური ხარჯი) დაანგარიშებით დადგინდა, რომ TOYOTA LandCruiser 200-ს 2014 წელს მინიმუმ 83247 კილომეტრი უნდა გაეგლო, ხოლო 2013 წელს 32450 კილომეტრი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდის ბოლოს TOYOTA Land Cruiser 200-ის მინიმალური გარბენი უნდა ყოფილიყო (50.2⁵+32.4⁶+83.2⁷ ათასი კილომეტრი) 165900 კილომეტრი, თუმცა როგორც სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ მომზადებული დასკვნით დგინდება, 2015 წლის 18 თებერვალს ხსენებული სატრანსპორტო საშუალების გარბენი შეადგენდა 104500 კილომეტრს. ავტომობილის ოდომეტრის ჩვენების თანახმად, გარბენმა ფაქტობრივად გაწეული საწვავის ხარჯთანა მიმართებაში მინიმუმ 61400 ათასი კილომეტრით ნაკლები შეადგინა.

აღნიშნული შეუსაბამობის გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით, ჩატარდა სხვა ალტერნატიული პროცედურა. კერძოდ: აპარატზე საწვავის მიმწოდებელი კომპანიიდან (შპს „ლუკოილ ჯორჯია“) მოწოდებული იქნა ინფორმაცია, აპარატის კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის შევსების შესახებ, კონკრეტული დროისა და რაოდენობების მითითებით. მიღებული ინფორმაცია შედარებული იქნა აპარატის შესაბამისი⁸ თანამდებობის პირის ქვეყნის გარეთ მივლინებაში ყოფნის პერიოდთან და დადგინდა, რომ მივლინებული პირის საქართველოს ტერიტორიაზე არ ყოფნისას მასზე, მიმაგრებულ (TOYOTA Land Cruiser 200 სახ. ნომრით FCF 778) ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე სისტემატიურად ხდებოდა საწვავის შევსება. ხსენებულ პირობებში ჩასხმულია 3616 ლიტრი საწვავი.

ანალოგიურ ვითარებაში, ავტომობილ MITSUBISI Pajero სახ. ნომრით XCX 070 - ჩასხმულია 2497 ლიტრი საწვავი, ხოლო ავტომობილში LEXUS LS460 სახ. ნომრით LYL 767 ჩასხმულია 865 ლიტრი საწვავი.

მთავრობის ფონდებიდან გამოყოფილი თანხები

2014 წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი თანხების საკასო ხარჯმა 2,277.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც აპარატის მიერ 2014 წელს გაწეული მთლიანი საკასო ხარჯის 51%-ია.

⁴ აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის შედეგად აპარატის მიერ გატარებული იქნა შესაბამისი ზომები და მიმდინარე წლის (2015წ) აპრილის თვიდან დაიწყო ოდომეტრების მონაცემების ყოველთვიური აღრიცხვა.

⁵ აპარატზე გადმოცემისას არსებული გარბენი.

⁶ 2013 წელს მოხმარებული საწვავის რაოდენობის შეფარდებით მიღებული გარბენის ოდენობა.

⁷ 2014 წელს მოხმარებული საწვავის რაოდენობის შეფარდებით მიღებული გარბენის ოდენობა.

⁸ ვისზეც იყო გადაცემული სამსახურებრივი დროებითი სარგებლობის ფორმით

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, სათანადო ღონისძიებების მაღალ დონეზე მომზადებისათვის აუცილებელი მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის N36 განკარგულებით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აპარატს გამოეყო 2,100.0 ათასი ლარი.

განკარგულების ფარგლებში 2014 წლის 11 იანვარს გაფორმდა (EU2) ხელშეკრულება კომპანია CAMBRE Associates-თან, მრავალმხრივი საკონსულტაციო მომსახურების გაწევაზე, კერძოდ:

CAMBRE Associates-ს უნდა განეხორციელებინა მთავრობის და მისი სამინისტროების საგარეო განვითარების ისეთი სახის მხარდაჭერა, რომელიც გავლენას მოახდენდა საქართველოს ევროინტეგრაციაზე, პირადი დახმარება გაეწია მთავრობის მაღალი თანამდებობის პირთათვის საგარეო პოლიტიკაში მათი მოვალეობის შესრულებაში. ასევე, საქართველოს ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაციის მისწრაფებების მხარდაჭერა, მედიასთან ურთიერთობები, ღონისძიებებისა და შეხვედრების ორგანიზების მხარდაჭერა და ევროპის ცნობადობის ამაღლება, საქართველოს განვითარების პროცესებზე.

ხელშეკრულების ყოველთვიურ საფასურს შეადგენდა 50.0 ათას ევროს და დამატებითი ანაზღაურება საჭიროების მიხედვით, ყველა სახის ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენით.

შემსრულებელი ვალდებული იყო დამკვეთისთვის წარედგინა ანგარიში 2 კვირაში ერთხელ შესრულებული აქტივობების შესახებ, ასევე ყოველთვიური ანგარიში საანგარიშო პერიოდის გასვლიდან 5 დღის ვადაში და საბოლოო ანგარიში ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში.

ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაზე პასუხისმგებლობა ხელშეკრულების თანახმად, ეკისრებოდა დამკვეთს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2014 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.⁹

წლის განმავლობაში გაწეულმა საკასაო ხარჯმა ჯამში 1834.5 ათასი ლარი, ანუ 783.3 ათასი ევრო შეადგინა, საიდანაც გადარიცხულ იქნა შემსრულებელი კომპანიის ანგარიშზე 1554.7 ათასი ლარი, ანუ 663.8 ათასი ევრო, ხოლო 279.8 ათასი ლარი, ანუ 119.5 ათასი ევრო გადარიცხულია ბიუჯეტში (დღგ-ს გადასახადი უკუდაბეგვრის წესით).

ინვოისების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2014 წელს გაწეული მომსახურების ჯამურმა ღირებულებამ 623.8 ათასი ევრო შეადგინა, რაც შეეხება 40.0 ათას ევროს სხვაობას, აღნიშნული წარმოადგენს აპარატის 2013 წლის ნოემბრის მომსახურების ღირებულებას. ხსენებული კომპანია აპარატს ანალოგიურ მომსახურებას 2013 წელსაც

⁹ ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 11 იანვარს, განკარგულების გამოცემამდე 2 დღით ადრე.

უწევდა. 2013 წლის ხელშეკრულების თანახმად, მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენდა 40 ათას ევროს. აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა მოწოდებული საკმარის ინფორმაცია ნოემბრის შესრულების დამკვეთისთვის 4 თვის დაგვიანებით წარდგენასთან დაკავშირებით, რომელიც გადახდილია აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში, კერძოდ, 2014 წლის 19 მარტს. თუმცა, ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, შესრულებული სამუშაოს ანგარიში და ინვოისი დამკვეთისთვის წარდგენილი უნდა ყოფილიყო საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 5 დღის განმავლობაში.

2014 წლის 26-28 მარტს თბილისში „ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირთან - პერსპექტივები და შესაძლებლობები“ საერთაშორისო კონფერენციის ჩასატარებლად სარეზერვო ფონდიდან მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N314 განკარგულებით გამოყოფილ იქნა 350.0 ათასი ლარი.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აპარატის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსთა მინისტრის სახელზე გაგზავნილი 2014 წლის 18 თებერვლის N01/1800 წერილის თანახმად, საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება აპარატთან ერთად დაევა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროებს. წარმოდგენილი საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით ღონისძიების ღირებულებამ შეადგინა 349.8 ათასი ლარი, მათ შორის აპარატის მიერ გასაწევმა ხარჯმა 256.1 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკის სამინისტროს მიერ გასაწევმა ხარჯმა 93.7 ათასი ლარი. ფაქტობრივად, აპარატის მიერ ამ ღონისძიების ჩასატარებლად გაწეულმა ხარჯმა 129.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით 126.9 ათასი ლარით ნაკლებია, რამაც მთლიანი ხარჯის თითქმის 50% შეადგინა. აღნიშნული მიუთითებს აპარატის მხრიდან საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით გასაწევი ხარჯების არასწორად, გაზრდილი ოდენობით დაგეგმვაზე. ასე მაგალითად: მთავრობის განკარგულების თანახმად ორგანიზატორებს სტუმართა მიღების განსახორციელებლად დარბაზი სსიპ - საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობაში უსასყიდლოდ უნდა გადაცემოდა. მიუხედავად ამისა, ფინანსთა სამინისტროში აპარატის მიერ წარდგენილი საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით დარბაზის გაფორმებისთვის გათვალისწინებული იყო 32.0 ათასი ლარის ხარჯი, რაც არარეალურია, ვინაიდან Radisson Blu Iveria -ში დარბაზის იჯარისთვის (170 სტუმარზე) აპარატის მიერ გადახდილია 1.8¹⁰ ათასი ლარი (18-ჯერ ნაკლებია დარბაზის მოწყობისთვის გათვალისწინებულზე).

ანალოგიურად იყო გაზრდილი საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით სტუმართა გამასპინძლებისთვის გათვალისწინებული ხარჯები. ხარჯთაღრიცხვის თანახმად 250 სტუმრის გამასპინძლებისთვის (ყავა, ლანჩი) გათვალისწინებული იყო 58.4 ათასი ლარი.

¹⁰ ხელშეკრულება N2014/75 (24.03.14) სს „გამოფენების ცენტრი“

ფაქტიურად, ხელშეკრულების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 27-28 მარტს კვებითი მომსახურება განისაზღვრა 320 კაცზე, ნაცვლად 250 სტუმრისა, რითაც ოფიციალური ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სტუმართა რაოდენობა, გაიზარდა 70 კაცით, თუმცა მიუხედავად ამისა მთლიანი დანახარჯი შემცირდა და 45.8 ათასი ლარი შეადგინა. ანუ დაგეგმილზე 22%-ით ნაკლები.

აუდიტის მიერ ხარჯების დეტალურად შესწავლამ ცხადყო, რომ მიუხედავად დაგეგმილი ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებისა ერთეულის ღირებულებები არათუ შემცირდა არამედ გაიზარდა. ასე მაგალითად: 26 მარტის მიღებისთვის, საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით, ერთი სტუმრის მიღებისთვის (კვება, ღვინო) გათვალისწინებული იყო 74 ლარი, ფაქტობრივი ხარჯების შესწავლით კი დადგინდა, რომ ხარჯმა, ერთ სტუმარზე 112,5 ლარი შეადგინა, ანუ ფაქტიურად გაწეულმა ხარჯმა 38.5 ლარით (52%-ით) გადააჭარბა საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულს¹¹.

საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით 28 მარტს დახურვის ოფიციალური ცერემონიალისთვის დაგეგმილი იყო 250 ბოთლი ღვინის შეძენა 4.0 ათასი ლარის ღირებულებით. ფაქტობრივი ხარჯების შესწავლით დადგინდა, რომ შეძენილია 250 ბოთლის ნაცვლად 30 ბოთლი და მიუხედავად საერთო ხარჯის შემცირებისა ერთეულის ღირებულება დაგეგმილთან შედარებით 64%-ით გაიზარდა.

აპარატის მიერ ზემოთაღნიშნული მომსახურების ღირებულების ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარების მიზნით, შესწავლილ იქნა იმავე კომპანიის -სს „გამოფენების ცენტრი“-ს მიერ სხვა შემსყიდველებისთვის ელექტრონული ტენდერის პირობებში შეთავაზებული ფასი და დადგინდა რომ ტენდერის პირობებში ანალოგიური მომსახურება იმავე კომპანიას შესრულებული აქვს 88%-ით უფრო იაფად, რაც მიუთითებს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით შესყიდვის არარაციონალურობაზე.

2014 წელს ქ. ბათუმში 10-11 ივლისს დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა“ მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, მთავრობის 2014 წლის 26 ივნისის N1137 განკარგულებით აპარატს გამოეყოს 250. 0 ათასი ლარი.

ღონისძიების მოსამზადებლად, აპარატის ხელმძღვანელობამ ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, გააფორმა 17 ხელშეკრულება, საერთო თანხით 175.4 ათასი ლარი, რომელთა საკასო ხარჯმა 166.0 ათასი ლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონფერენცია ტარდება ყოველწლიურად, ზედიზედ მეთერთმეტეჯერ და კონფერენციის ჩატარების მთავარი თემა და მონახაზი თითქმის უცვლელია წლიდან წლამდე, მისი ჩატარების ხარჯები მაინც არ იქნა გათვალისწინებული აპარატის მიერ

¹¹ ხელშეკრულება N2014/69 (24.03.14) სს „გამოფენების ცენტრი“

წლიურ ბიუჯეტში. გარდა ამისა, ხელშეკრულებები ხელმძღვანელობის მიერ შედგენილია ისე, რომ უმეტესად გაურკვეველი რჩება ხელშეკრულების საგანი, არ არის გაწერილი გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერილობა, ხელშეკრულება ატარებს ფორმალურ ხასიათს.

აპარატსა და შპს „ჯორჯიან ივენტს“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება¹² კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“ ორგანიზების დახმარებაში (SPV 79952000), ღირებულებით 16.5 ათასი ლარი. ხელშეკრულების დანართით დაგეგმილი ღონისძიებები არ არის აღწერილი სათანადოდ და ვერ ცხადყოფს გასაწევი მომსახურების სრულ სურათს. კერძოდ, გასართობი ღონისძიებების აღწერილობაში მითითებულია „კლავიში და ბას-გიტარა“ (შემსრულებლების ტრანსპორტირება და ღამისთევა ბათუმში) თუმცა არ არის დაკონკრეტებული რომელ და რამდენ შემსრულებელზეა საუბარი. ასევე, არ არის მითითებული მათი საათობრივი მომსახურების ტარიფი და მომსახურების ხანგრძლივობა. აგრეთვე გაურკვეველია დამხმარე პერსონალის (2 ადამიანი) მიერ შესასრულებელი სამუშაოები, რომელთა მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების დანართით და მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად 250 ლარიდან 56,3 ლარამდე შემცირდა.

2014 წლის 26 მარტს აპარატსა და შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდიოს“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება¹³ ორი დღის განმავლობაში სატელევიზიო სპეცტექნიკით (განათებით) მომსახურებაზე, ღირებულებით 1.4 ათასი ლარი. ამავე წლის 10 ივნისს აპარატის ხელმძღვანელობის მიერ ქ. ბათუმში 10-11 ივნისს გამართული XI საერთაშორისო კონფერენციის „საქართველო ევროპული გზა“ ორი დღის განმავლობაში განათებით უზრუნველყოფისთვის ხელშეკრულება¹⁴ გაფორმდა შპს „ალფა სტუდიო“-სთან, ღირებულებით 8.2 ათასი ლარი, რითაც წინა ხელშეკრულებასთან შედარებით მომსახურების ღირებულება გაძვირდა 4.5-ჯერ, მაშინ როდესაც აპარატს ჰქონდა გამოცდილება მსგავსი მომსახურების შესყიდვისა. აუდიტის ჯგუფისთვის მოწოდებული დოკუმენტაციით არ დგინდება აპარატის მხრიდან ჩატარდა თუ არა ფასთა გამოკითხვა, თუნდაც იმ კომპანიასთან ვისთანაც, როგორც უკვე ავღნიშნეთ, სამი თვით ადრე ჰქონდა მიღებული მომსახურება.

2014 წლის განმავლობაში აპარატის მიერ სამჯერ განხორციელდა ჟურნალის „საქართველოს ეროვნული გზა“ გამოცემაზე მომსახურების შესყიდვა, აღნიშნული სამი შესყიდვიდან ორი ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „ჯორჯიან თუდეი ჯგუფთან“¹⁵, ხოლო მესამე ხელშეკრულება გაფორმდა შპს „სეზანთან“¹⁶. აღსანიშნავია, რომ ყოველი

¹² 2014 წლის 8 ივლისს NGEW/2014/143 ხელშეკრულება

¹³ ხელშეკრულება N DCFTA/2014/78 (26.03.14);

¹⁴ ხელშეკრულება N GEW/2014/150 (10.07.14);

¹⁵ ხელშეკრულება N DCFTA/2014/67 (21.03.14) და GEW/2014/137 (04.07.14);

¹⁶ ხელშეკრულება N 1328/2014/189 (8.11.14);

მომდევნო ხელშეკრულების გაფორმებისას ერთეულის ფასი საგრძნობლად იკლებდა და თუ პირველი ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული მომსახურების ერთეულის ფასს შევადარებთ უკანასკნელის ერთეულის ფასს (ერთი ფურცლის ფასი) მივიღებთ, რომ მომსახურება 160%-ით გაიაფებულია გამოცემის ხარისხის გაუარესების გარეშე. აღნიშნული მიუთითებს, რომ პირველი ხელშეკრულების გაფორმებისას არ იყო ჩატარებული ბაზრის კვლევა და ფასთა გამოკითხვა. ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებებით განხორციელებული შესყიდვების არარაციონალურობას.

მივლინებები

საანგარიშო პერიოდში აპატარის (კოდი 20 01) მუხლით „მივლინებები“ ხარჯმა სულ 337.7 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის ქვეყნის გარეთ მივლინებებმა 310.4 ათასი ლარი, ხოლო ქვეყნის შიგნით მივლინებებმა 27.3 ათასი ლარი.

ქვეყნის გარეთ მივლინებების აუდიტით გამოვლინდა რიგი დარღვევები, კერძოდ:

➤ აპარატში მივლინების ბრძანებები და მასთან დაკავშირებული მოხსენებითი ბარათები არ იწერებოდა მიმწვევი მხარის მიერ გამოგზავნილი ხარჯების ანაზღაურების დამადასტურებელი ინფორმაციის საფუძველზე. შესაბამისად, აპარატის ხელმძღვანელობის მიერ არ იყო დანერგილი სათანადო კონტროლი ბრძანებების გამოცემაზე. კერძოდ: ქვეყნის გარეთ მივლინებებზე გამოცემული 79 ბრძანებიდან 35 შემთხვევაში (44%) ვერ იქნა წარმოდგენილი მიწვევა ან/და მიმწვევი მხარის მიერ ხარჯის ანაზღაურების პირობა.

➤ საავანსო ანგარიშები არ არის წარმოდგენილი ფინანსთა მინისტრის ბრძანებით¹⁷ განსაზღვრული ფორმის მიხედვით (ფორმა N015)¹⁸. ასევე, წარმოდგენილი ანგარიშები არ არის ვიზირებული ხელმძღვანელი პირის მიერ, არ არის ხელმოწერილი და შედგენილი ანგარიშვალდებული პირების მიერ.

➤ მივლინებული პირები არ ადგენენ ანგარიშს, მივლინებისას გაწეული სამუშაოების შესახებ.

➤ ანგარიშვალდებულ პირებზე იმ მივლინებების სისწორის დადგენის მიზნით, რომლებზედაც წარმოდგენილ იქნა მივლინების საფუძვლები (მიწვევა ან/და გასაწევი ხარჯების ანაზღაურების პირობა), გამოვლინდა თანხების ზედმეტად ანაზღაურების შემთხვევები, კერძოდ:

¹⁷ ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N449 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“.

¹⁸ ჯგუფის მიერ აუდიტის მიმდინარეობისას აპარატის ხელმძღვანელობისათვის მიცემული იქნა რეკომენდაცია, რისი შესრულებაც აპარატის მიერ დაიწყო აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში

➤ რიგ შემთხვევებში მიწვევებში დაფიქსირებულია, რომ მიმწვევი მხარე ანაზღაურებდა კვების ხარჯებს. მიუხედავად ამისა მოხსენებით ბარათებში (რომელთა საფუძველზეც გამოიცემოდა ბრძანებები მივლინებებთან დაკავშირებით) ეს დაფიქსირებული არ იყო. შედეგად, მივლინების სადღეღამისო ხარჯები ანაზღაურებულია სრულად, ნაცვლად კანონმდებლობით განსაზღვრული¹⁹ 30%-ისა.

➤ რიგ შემთხვევებში ბრძანებებით დაფიქსირებული მივლინების ვადები არ ემთხვეოდა (რამდენიმე დღით აღემატებოდა) მიწვევებში დაფიქსირებულ დასასწრებ ღონისძიებების ვადებს, ხოლო სამივლინებო პერიოდის ვადის გაზრდა არ იყო დასაბუთებული.

➤ ცალკეულ შემთხვევებში ანაზღაურებული იყო სადღეღამისო ხარჯი იმ შემთხვევებშიც, როდესაც ყველა ხარჯს თავის თავზე იღებდა მიმწვევი მხარე.

2014 წლის განმავლობაში აპარატის თანამშრომლებზე ზედმეტად გაცემულმა სამივლინებო თანხამ სულ 5.6 ათასი ლარი შეადგინა (დეტალური გაანგარიშება მოცემულია დანართში ელექტრონული სახით).

იმ ნაწილში, რომელზეც ვერ იქნა წარმოდგენილი მივლინების საფუძვლები (მიწვევა), ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

ქვეყნის გარეთ მივლინებების დაფინანსებაში არსებული ზემოაღნიშნული ხარვეზების მიზეზი იყო შიდა კონტროლის გარემოს არარსებობა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მივლინებებთან დაკავშირებული მიწვევები არ იგზავნებოდა საფინანსო სამმართველოში და შესაბამისად ამ სტრუქტურის მიერ ვერ კონტროლდებოდა მიწვევის პირობები. მოხსენებითი ბარათების სისწორე, რომლებიც ძირითადად იწერებოდა დეპარტამენტში, არ კონტროლდებოდა არც ბრძანების პროექტის შემდგენელის მიერ. მიზანშეწონილია, ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებული მიწვევები გადაეგზავნოს ფინანსურ მენეჯერს, რომელიც სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებას მოახდენს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განახორციელებს კონტროლს საბიუჯეტო თანხების მიზნობრივ და კანონიერ ხარჯვაზე, კანონით მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში²⁰.

წარმომადგენლობითი ხარჯები

წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან აპარატის მიერ გაწეულმა საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა 2014 წელს შეადგინა 221.4 ათასი ლარი.

¹⁹ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-11 პუნქტის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების (დაქირავებულისთვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ) მე-4 პუნქტის მიხედვით.

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ბრძანების მე-4 მუხლი.

2014 წლის განმავლობაში წარმომადგენლობით ხარჯი გაწეულია სხვადასხვა სახით: აპარატში სტუმრების მისაღებად (ყავა, ჩაი, ნამცხვრები და წყლები), ჩამოსული სტუმრების გასამასპინძლებლად და კონფერენციების მოსაწყობად, ასევე სახელმწიფო მინისტრის ვიზიტებისთვის საჩუქრების შესაძენად. 2014 წელს აპარატის ხელმძღვანელობის მიერ შეძენილ იქნა სულ 12.1 ათასი ლარის საჩუქარი, საიდანაც წლის ბოლოს ნაშთად ირიცხებოდა 1.9 ათასი ლარის ღირებულების აქტივი. ხოლო 10.2 ათასი ლარის საჩუქრის ხარჯის დამადასტურებელ საბუთად წარმოდგენილ იქნა კვარტალურად შედგენილი საჩუქრის გადაცემის კრებსითი უწყისი, რომელსაც ამტკიცებდა აპარატის უფროსი და ხელს აწერდა ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი. უნდა აღინიშნოს, რომ ცალმხრივად, შედგენილი უწყისები, ვერ იძლევა საკმარის რწმუნებას 10.2 ათასი ლარის საჩუქრის მიზნობრივად გამოყენებაზე.

პირობითი აუდიტორული მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, აუდიტორული მოსაზრების საფუძვლებში დაფიქსირებული უზუსტობების გაუთვალისწინებლად, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

უფროსი აუდიტორი
ნესტან ჯანელიძე

აუდიტორი
ბორის მჭედლიშვილი

.....
15.05.2015

.....
15.05.2015